ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6350100

ნომერი: AR1947099

თარიღი : 10.02.2023

გაცემის თარიღი : 02.03.2023

გაცნობის თარიღი : 02.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ლეკვეიშვილი პ/ნ 01015018064
- თბილისი ნ.ბარათაშვილის ქ. N 6/10 ბ. 65

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 10 თებერვალს №AR1947099 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022

წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებით მოწონებულ იქნა, ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩა №25-ში მდებარე №01.18.03.016.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. ძეგლზე სამუშაოების ვადა განისაზღვრა 2022 წლის 30 მაისიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ბრძანებაში საპროექტო შენობა-ნაგებობის შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაფიქსირება: სასტუმროს ნომრების ფართობი - 675.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და დერეფნის ფართობი - 613.8 კვ.მ., კომერციული ფართობი - 185.8 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 419.6 კვ.მ., საერთო ფართობი - 2020.7 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და დასაფიქსირებელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ შესაძლებელია შეთანხმებულ ბრძანებაში დაფიქსირდეს საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებაში და „დამკვეთის ინფორმაციის“ ველის შემდგომ დაემატოს საპროექტო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლების ველი შემდეგნაირად:
“ შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- საერთო ფართობი (კვ.მ).: 2020.7
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 126.3
- სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ).: 675.2
- კიბის უჯრედისა და დერეფნის ფართობი (კვ.მ).: 613.8
- კომერციული ფართობი (კვ.მ).: 185.8
- დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 419.6 “.

2. სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 30 მაისის №5929077 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.